ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲣᲚᲢᲠᲐᲘᲘᲡᲤᲔᲠ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲡ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲡ, ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲡ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲡ, ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ ᲜᲔᲠᲕᲣᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ, ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲙᲐᲜᲨᲘ ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲘ�გᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ D ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲐᲡ, ᲐᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲐᲡ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲖᲔᲖᲔ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲣᲚᲢᲠᲐᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲙᲐᲜᲖᲔ — ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ, ᲐᲨᲠᲝᲑᲡ ᲙᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ. ᲗᲣ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ, ᲗᲐᲕᲡ ᲐᲐᲠᲘᲓᲔᲑᲗ ᲑᲔᲕᲠ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ:

— მზეზე გასვლის წინ კანზე წაისვით სპეციალური კრემი ან ზეთი, თავზე დაიხურეთ ქუდი.

— თვალები დაიცავით მზისგან — მუქი ფერის სათვალით.

— გასარუჯად საუკეთესო დროა დილის 8 საათიდან 11 საათამდე და 17 საათიდან 19 საათამდე.

— გარუჯვა სასარგებლოა ჭამამდე ერთი საათით ადრე ან ჭამიდან 1,5 საათის შემდეგ.

— გარუჯვა დაიწყეთ 5 წუთიდან და მზეზე ყოფნის დრო ნელ-ნელა გაზარდეთ.

— ყოველი ბანაობის შემდეგ ტანზე ხელახლა წაისვით დამცავი კრემი.

— ღრუბლიან-ქარიან ამინდში პლაჟზე დიდხანს ყოფნისას შეიძლება დაიწვათ, რადგან ღრუბლები მზის სხივების 40%-ს ატარებს.

მზის დამწვრობის დროს:

1. 3-4 დღე არ მიიღოთ მზის აბაზანები.
2. მიიღეთ დღეში არანაკლებ 1ლ მინერალური წყალი.
3. საკვებიდან უპირატესობა მიანიჭეთ ხაჭოს, ხილსა და ბოსტნეულს.
4. დამწვარ ადგილებზე დაიდეთ შავი ან მწვანე ჩაის ცივი საფენები და სისტემატურად ცვალეთ.
5. დამწვარ ადგილებზე დაიდეთ წვრილად გახეხილი, მარლაზე დაფენილი კარტოფილი, როგორც კი გათბება კომპრესი — გამოცვალეთ.
6. დამწვარზე დაიდეთ კომბოსტოს ფოთლები (ხშირად ცვალეთ);
7. დამწვარზე დაიდეთ წყალში გახსნილი მაწვნისა და კეფირის სველი საფენები.

ძლიერი დამწვრობის დროს მიმართეთ ექიმს და დაიცავით მისი რეკომენდაციები.

მზეზე დიდხანს ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს *მზის დარტყმა*. მისი სიმპტომებია — უგუნებობა, თავბრუ, თავის ტკივილი, ყურებში ხმაური, გულის რევის (ზოგჯერ პირღებინება) შეგრძნება, გონის დაკარგვა, ცხვირიდან სისხლდენა.

უმეტეს შემთხვევაში საკმარისია — ავადმყოფი ჩრდილში მოათავსოთ, გახადოთ მჭიდრო ტანსაცმელი, დაალევინოთ ცივი წყალი, თავზე დაადოთ ცივი კომპრესი. მძიმე შემთხვევაში (კრუნჩხვების, ჰალუცინაციების, ბოდვის, 40-41 გრადუსი ტემპერატურის დროს), ავადმყოფი საჭიროებს სამედიცინო დახმარებას.

არარეკომენდებულია მზის სხივების აბაზანები: 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ნებისმიერი დაავადების მწვავე სტადიაში, ნებისმიერი ლოკალიზაციის კეთილი და ავთვისებიანი სიმსივნის, ჰიპერტონიის, ბრონქიალური ასთმის (მძიმე ფორმის) დროს.

ეს არასრული სიაა იმ დაავადებებისა, რომლის დროსაც ადამიანებს ეკრძალებათ მზის სხივები, ამიტომ ზღვაზე გამგზავრებამდე, თუ ქრონიკული დაავადებები გაწუხებთ, კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲘ

ᲪᲮᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ:

1. 10-20გ გამხმარ, დაქუცმაცებულ მუხის ქერქს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და 30 წუთი ადუღეთ, შემდეგ გაწურეთ და ნაყენით გაიწმინდეთ სახე.
2. 1ს/კ არყის ხის კვირტებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ, გაწურეთ და გაიკეთეთ სახეზე ნიღაბი.

ᲭᲝᲠᲤᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ:

1. შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის პირშუშხას წვენი და არაჟანი. წაისვით სახეზე და 5-7 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.
2. 1 წილ ლიმონის (ფორთოხლის ან მჟავე კომბოსტოს) წვენს დაამატთ 1/2 წილი წყალი და სახე გაიწმინდეთ 2-3-ჯერ დღეში.

ᲤᲔᲠᲘᲡᲛᲭᲐᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ:

1ს/კ სალბის ფოთლებს დაასხით მდუღარე წყალი, 30 წუთით დადგით თბილ ადგილას. გაწურეთ, დაამატეთ 0,5 ჩ/კ თაფლი და ამ ნაყენით გაიკეთეთ სახეზე საფენები 2-3-ჯერ დღეში. ერთი თვის განმავლობაში.

ᲤᲝᲠᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ:

სახე გაიწმინდეთ წიპწაგამოცლილი ყურძნით (ან შტოშის,

მოცვის ან მოცხარის წვენით). დაიბანეთ პირი მაყვლის ფოთლების ნახარშით.

ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

2ც გახეხილ სტაფილოს შეურიეთ 2 ს/კ კარტოფილის ფქვილი და 1 კვერცხის გული, კარგად გაიწმინდეთ სახე და წაისვით ნიღაბი და 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ჯერ ცხელი, შემდეგ ცივი წყლით. ეს ნიღაბი კვებავს და აახალგაზრდავებს კანს, შლის პატარა ნაოჭებს.

ᲨᲔᲨᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲘᲕᲔᲑᲣᲚ ᲥᲣᲗᲣᲗᲝᲔᲑᲖᲔ

წაისვით დილას და საღამოს შინ დამზადებული გვირილის სამკურნალო კრემი: 25გ ნებისმიერ ცხიმიან კრემს (რომელსაც ხმარობთ), ან კარაქს შეურიეთ 10გ გვირილის ან ცაცხვის ყვავილის ნაყენი და 5გ აბუსალათინის ზეთი. წაისვით დილით ტენიან სახეზე. საღამოს თვალები გაიწმინდეთ გვირილის ან ცაცხვის ყვავილის ნაყენით და შემდეგ წაისვით კრემი.

ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘ „ᲙᲐᲛᲔᲚᲘᲜᲘᲡ“ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲙᲐᲛᲔᲚᲘᲜᲘᲡ“ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲖᲔ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚ-ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲨᲘ. ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲓᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲣᲛᲐᲡᲐᲠᲗᲘᲜᲓᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡ.

23 ივნისს ბათუმში, „შერატონ ბათუმი პალასში“ ჩატარდა რიგით მეოთხე, ამჯერად უკვე საერთაშორისო კონფერენცია: “კამელინ 2012“, სადაც მოწვეული იყვნენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები საქართველოს, მოსკოვის და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომლებიც უკანასკნელ წლებში აქტიურად იყვნენ ჩართულები პრეპარატ „კამელინის“ სხვადასხვა ფორმებზე განხორციელებულ კლინიკურ კვლევებში. კონფერენცია ტრადიციულად გახსნა კომპანიის დირექტორმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა კობა გურიელიძემ, რომელმაც ისაუბრა პრეპარატ „კამელინზე“ განხორციელებულ ადრეულ (პრეპარატის ავტორის, ძაგული მაღლაკელიძის მიერ წარმოებულ) და თანამედროვე ექსპერიმენტულ -კლინიკური კვლევების შედეგებზე მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, ასევე მოხსენება გააკეთა „კამელინის“ გამოყენებაზე კომპლექსურ თერაპიასთან ერთად ფილტვის რეზისტენტული ტუბერკულოზის დროს (თსსუ-ს ფთიზიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სრული პროფესორის ლამარა ვაშაკიძის ნებართვით). კონფერენციაზე მოხდა წიგნის „კამელინი“ ხერხემლის და სახსრების დაავადებათა ფიზიოთერაპია, პრევენცია, რეაბილიტაცია (ავტორები: თამარ ჩილინგარიშვილი, თეოდორ სტუპინი, ნინო ფალიანი, მანანა ლომიძე, მანანა ფორაქიშვილი, რეცენზენტი ნიკა სააკაშვილი) პრეზენტაცია. მოსკოვიდან მოწვეულმა საპატიო სტუმარმა, სამედიცინო ცენტრ „ლედი“-ის ხელმძღვანელმა, ვერტებრონევროლოგმა, მედიცინის დოქტორმა თეოდორ სტუპინმა ისაუბრა ოსტეოქონდროზით დაავადებულთა მკურნალობის ეფექტურობაზე „კამელინ-ულტრაფონოფორეზით“. კლინიკა „ხერხემალის“ ხელმძღვანელმა, მედიცინის დოქტორმა ნინო ფალიანმა აქცენტი გაამახვილა კამელინის გამოყენების მაღალ თერაპიულ ეფეტზე ვერტებრონევროლოგიაში (მუხლის, მენჯ-ბარძაყის, მხრის სახსრის ართროზი, ბურსიტი, ტენდოვაგინიტი, სპონდილოზი, დისკოპათიები და სხვ.), აგრეთვე პრეპარატის გამოყენებაზე პრევენციის და რეაბილიტაციის მიზნით. „კამელინის“ სხვადასხვა ფორმების გამოყენების მიზანშეწონილობასა და დადებით თერაპიულ ეფექტზე ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით (ულტრაფონოფორეზი მალამო და ელექროფორეზი ხსნარი) ოსტეოართრიტებისა და ხერხემლის

ოსტეოქონდროზის დროს მოხსენება გააკეთა ბალნეოლოგიური ცენტრის რევმატოლოგმა, პროფესორმა თამარ ჩილინგარიშვილმა. „კამელინის“ მეხუთე ფორმის, „კამელინფლუ სპრეის“ კლინიკური კვლევის შედეგებზე პრეზენტაცია წარმოადგინა თბილისის საოჯახო მედიცინის სასწავლო კლინიკური ცენტრის დირექტორმა მარინა შიხაშვილმა. ბათუმის ონკოლოგიური კლინიკის ონკოლოგმა, მედიცინის დოქტორმა მემედ ჯინჭარაძემ ისაუბრა „კამელინ მ 1“-ის და „კამელინ მ 2“-ის გამოყენებაზე სხვადასხვა სიმსივნეების მე-4 სტადიის მქონე უმძიმეს პაციენტებში და გაგვაცნო შედეგები, კერძოდ ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში დროებით მოხსნა, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადის და ენერგიის მომატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი 20-30 პროცენტში. შთამბეჭდავი და საკმაოდ საფუძვლიანი კვლევების შედეგები წარმოადგინეს „კამელინის“ გამოყენებასა და ეფექტურობაზე სტომატოლოგიური პათოლოგიების დროს სტომატოლოგებმა, პროფესორმა მზია ბაქრაძემ და დოქტორანტმა ირმა კაჭკაჭიშვილმა. მათ ყურადღება გაამახვილეს კამელინოთერაპიის უპირატესობაზე ტრადიციულ მკურნალობასთან მიმართებაში. კომპანია „კამელინის“ წარმომადგენელმა (ლოს-ანჯელესი, კალიფორნია, აშშ) ელლა ფრუმკინმა პრეპარატ „კამელინს“ მომავლის პრეპარატი უწოდა. მან ისაუბრა იმ სამომავლო მიზნებზე, რომელიც გულისხმობს პრეპარატის პოპულარიზაციას და მის დამკვიდრებას ამერიკის ფარმაცევტულ ბაზარზე. „კამელინის“ კვლევის დადებით შედეგებზე უროლოგიაში, კერძოდ, ქრონიკული ბაქტერიული პროსტატიტების, ქრონიკული ურეთრიტებისა და პროსტატის ადენომების დროს, ისაუბრა ბალნეოლოგიური კურორტის უროლოგმა ზაზა ბაინდურიშვილმა. „კამელინის“ პროფილაქტიკური მიზნით და გინეკოლოგიურ-პროფტოლოგიური პათოლოგიებისას, „კამელინ მ4“ სანთლების გამოყენების დადებით როლზე მოხსენება გააკეთა ექიმმა ინფექციონისტმა თამარ ცერცვაძემ. საწარმოო ტექნოლოგიებზე ფარმაცევტულ კომპანია „კამელინში“ ისაუბრა Camelyn Distribution Ltd -ს დირექტორმა გოჩა დავლიანიძემ. კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და სხვადასხვა პროფილის ექიმები.

მოამზადა მაია ცომაიამ R

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: *2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33.* **www. camelyn.ge**